(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

DriveWealth-ის ინფორმაციის გამჟღავნებები და სხვა მნიშვნელოვანი გაცხადებები

ძალაში შესვლის თარიღი: 2021 წლის 1 თებერვალი

1. შესაფერისობა

თქვენ აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ი არ იძლევა რაიმე სახის საგადასახადო, იურიდიულ ან საინვესტიციო რჩევას; ასევე DriveWealth-ი არ იძლევა რჩევას ან დასკვნებს ტრანზაქციის ან საინვესტიციო სტრატეგიის ხასიათის, პოტენციური ღირებულების ან შესაფერისობის თაობაზე. DriveWealth-ი მოქმედებს მხოლოდ იმ მითითებების შესაბამისად, რომლებსაც იღებს თქვენგან და, უფლებამოსილების შემთხვევაში, თქვენი წარმდგენი ბროკერის ან საინვესტიციო მრჩევლისგან.

2. წილადობრივი ვაჭრობა

წილადობრივი ვაჭრობა შესაძლებლობას გაძლევთ, შეიძინოთ ფასიანი ქაღალდები დოლარებში და ერთი მთლიან აქციაზე ნაკლებით წილის გასაზრდელად. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წილადობრივ ვაჭრობას დამახასიათებელი რისკები და შეზღუდვები აქვს, რომლებიც უნდა გააცნობიეროთ DriveWealth-ის წილადობრივი აქციის პროგრამაში მონაწილეობამდე. გთხოვთ, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილოთ ჩვენი „სავაჭრო ინფორმაციის საჯაროობა“.

3. ბირჟის მიღმა (არასაბირჟო) ბრუნვადი ფასიანი ქაღალდები

DriveWealth-ის პლატფორმა უზრუნველყოფს რეგისტრირებულ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც აკმაყოფილებს DriveWealth-ის ლისტინგის კრიტერიუმებს. ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდები (შემდგომში, ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდები) არ არის ხელმისაწვდომი DriveWealth-ის მეშვეობით და ზოგადად, DriveWealth-ი არ მიიღებს ოფიციალური ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების ტრანსფერებს ან დეპოზიტებს. თუ თქვენ გაქვთ ისეთი ფასიანი ქაღალდი თქვენს ანგარიშზე, რომელიც საფონდო ბირჟის ლისტინგიდან გამოირიცხება და შესაბამისად, ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდი გახდება, DriveWealth-ს აქვს უფლება, ხელი შეუწყოს მხოლოდ ასეთ პოზიციასთან დაკავშირებული დავალებების ლიკვიდაციას. DriveWealth-ი არ უზრუნველყოფს ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დავალებების მიღებას და აღსრულებას.

ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დავალებები DriveWealth-მა უნდა მიიღოს 14:30 (EST) საათამდე, რათა მოხდეს მათი დამუშავება იმავე სავაჭრო დღეს. 14:30 (EST)

საათის შემდეგ მიღებული მითითებები უარყოფილი იქნება და თქვენ უნდა ხელახლა წარმოადგინოთ გაყიდვის თქვენი დავალება მომდევნო სავაჭრო დღეს. ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დავალებები მუშავდება, ჩვეულებრივ, დღეში ორჯერ - დილით და შუადღის შემდეგ.

ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დავალების წარმოდგენით თქვენ აცნობიერებთ და აღიარებთ, რომ თქვენი დავალების დამუშავება მოხდება ზემოაღწერილის შესაბამისად. თქვენ ასევე აღიარებთ, რომ შეიძლება მოხდეს თქვენი დავალების დაგვიანება ან გაუქმება იმ სხვადასხვა მიზეზით, რომლებიც DriveWealth-ის კონტროლს მიღმაა და რომ DriveWealth-ს აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და შეტყობინების გარეშე გაახანგრძლივოს, გააუქმოს ან სხვაგვარად შეცვალოს ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ვადები და/ან დამუშავების ვადები.

4. შიდადღიური ვაჭრობის რისკი

შიდადღიური ვაჭრობის სტრატეგიის არჩევამდე თქვენ უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები. ამ განცხადების მიზნებისთვის, „შიდადღიური ვაჭრობის სტრატეგია“ ნიშნავს საერთო სავაჭრო სტრატეგიას, რომლის დროსაც მომხმარებელი რეგულარულად აგზავნის შიდადღიურ (ე.ი. ერთი და იმავე დღის განმავლობაში) დავალებებს, რომლებიც მოიცავს ყიდვის და გაყიდვის ტრანზაქციებს ერთსა და იმავე ფასიან ქაღალდსა ან ქაღალდებში. შიდადღიური ვაჭრობა ძალიან სარისკოა. შიდადღიური ვაჭრობა, როგორც წესი, არ არის შესაფერისი სტრატეგია ისეთი ადამიანისთვის, ვისაც ლიმიტირებული რესურსები და ინვესტიციები აქვს ანდა მცირე სავაჭრო გამოცდილება და რისკისადმი დაბალი ტოლერანტობა აქვს. თქვენ მზად უნდა იყოთ, რომ შეიძლება მთელი ის თანხა დაკარგოთ, რასაც შიდადღიური ვაჭრობისთვის იყენებთ. კერძოდ, შიდადღიური ვაჭრობისთვის არ უნდა გამოიყენოთ საპენსიო დანაზოგები, სტუდენტური სესხები, მეორე გირაო, საგანგებო მდგომარეობისთვის გადადებული თანხები, ისეთი მიზნებისთვის გადადებული თანხები, როგორებიცაა განათლება ანდა სახლის ფლობა, ანდა თანხები, რომლებიც საჭიროა ყოფითი ხარჯების დასაფარად. გარდა ამისა, გარკვეული მონაცემები მიუთითებს, რომ 50,000 აშშ დოლარზე ნაკლები ინვესტიცია მნიშვნელოვნად ზღუდავს შიდადღიური ტრეიდერის შესაძლებლობას, მიიღოს მოგება. რა თქმა უნდა 50,000 აშშ დოლარის და მეტის ინვესტიცია არ არის წარმატების გარანტია. სიფრთხილით მოეკიდეთ განცხადებებს შიდადღიური ვაჭრობიდან მსხვილი მოგების მიღების შესახებ. ასევე უფრთხილდით რეკლამებს ან სხვა განცხადებებს, რომლებშიც ხაზგასმულია შიდადღიური ვაჭრობიდან მსხვილი მოგების მიღების პოტენციალი. შიდადღიურმა ვაჭრობამ შეიძლება ასევე დიდი და მყისიერი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. შიდადღიური ვაჭრობა საჭიროებს ფასიანი ქაღალდების ბაზრების ცოდნას. შიდადღიური ვაჭრობა საჭიროებს ფასიანი ქაღალდების ბაზრების და ვაჭრობის ტექნიკისა და სტრატეგიების სიღრმისეულ ცოდნას. შიდადღიური ვაჭრობის გზით მოგების მიღების მცდელობისას თქვენ კონკურენცია უნდა გაუწიოთ პროფესიონალ, ლიცენზირებულ ტრეიდერებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ფირმებს ჰყავთ დაქირავებული. შიდადღიურ ვაჭრობაში ჩართვამდე თქვენ შესაბამისი გამოცდილება

უნდა გქონდეთ. შიდადღიური ვაჭრობა მოითხოვს ფირმის ოპერაციების ცოდნას. თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ ფასიანი ქაღალდების ფირმის ბიზნეს პრაქტიკას, მათ შორის ამ ფირმის დავალებების შესრულების სისტემებსა და პროცედურებს. გარკვეულ საბაზრო პირობებში თქვენ შეიძლება გაგიჭირდეთ ან ვერ შეძლოთ პოზიციის სწრაფად ლიკვიდირება სათანადო ფასით. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც რომელიმე კონკრეტული აქციის ფასი ბაზარზე მოულოდნელად დაეცემა, ანდა ვაჭრობა ჩერდება რაიმე ახალი მოვლენის ანდა უჩვეულო სავაჭრო აქტივობის გამო. რაც უფრო მერყევია აქცია, მით უფრო დიდია ტრანზაქციის შესრულებაში პრობლემების წარმოქმნის ალბათობა. ჩვეულებრივი საბაზრო რისკების გარდა შესაძლოა განიცადოთ დანაკარგები სისტემის გაუმართაობის გამო. შიდადღიური ვაჭრობა წარმოშობს მნიშვნელოვან საკომისიო ხარჯებს მაშინაც კი, როდესაც ერთი ვაჭრობის ფასი დაბალია. შიდადღიური ვაჭრობა აქტიურ ვაჭრობას მოიცავს და თქვენ, ჩვეულებრივ, ყოველ ვაჭრობაზე მოგიწევთ საკომისიოს გადახდა. მთლიანი დღიური საკომისიო, რომელსაც თქვენს ვაჭრობებზე იხდით, დაემატება თქვენს დანაკარგებს ან მნიშვნელოვნად შეამცირებს თქვენს შემოსავალ. მაგალითად, თუ ერთი ვაჭრობა 16 აშშ დოლარი ღირს, ხოლო ერთ დღეს საშუალოდ 29 ტრანზაქცია ხორციელდება, ინვესტორს სჭირდება 111,360 აშშ დოლარის წლიური მოგება, რომ საკომისიო ხარჯები დაფაროს. პირები, რომლებიც საინვესტიციო რჩევებს აძლევენ სხვებს ანდა მართავენ სხვების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს, უნდა დარეგისტრირდნენ როგორც „საინვესტიციო მრჩეველი“ 1940 წლის კანონის „საინვესტიციო მრჩევლის შესახებ“ შესაბამისად, ანდა როგორც „ბროკერი“ ან „დილერი“ 1934 წლის კანონის „ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის შესახებ“ შესაბამისად. ასეთმა საქმიანობამ შესაძლოა საჭირო გახადოს ასევე სახელმწიფო რეგისტრაციის მოთხოვნების შესრულება.

5. საინდექსო ფონდები

საინდექსო ფონდები (შემდგომში, საინდექსო ფონდები) არის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სხვა ფასიანი ქაღალდების კალათაზეა მიბმული და არ მოითხოვს, რომ ინვესტორებმა ეს ფასიანი ქაღალდები ინდივიდუალურად იყიდონ. საინდექსო ფონდების აქციებს ყიდულობენ და ყიდიან ბირჟაზე. სხვა თვისებებთან ერთად, საინდექსო ფონდებს აქვს მახასიათებლებს, რომლებიც აქციების და საპაიო საინვესტიციო ფონდების მახასიათებლების მსგავსია. მაგალითად, ინდივიდუალური აქციების მსგავსად, საინდექსო ფონდების აქციებით ვაჭრობა მთელი დღის განმავლობაში ხდება ისეთ ფასებად ბირჟაზე, რომელიც იცვლება საბაზრო ძალების ზემოქმედებით. საპაიო საინვესტიციო ფონდების აქციების მსგავსად, საინდექსო ფონდების აქციები წარმოადგენს პორტფელის ნაწილობრივ საკუთრებას, რომელიც პროფესიონალი მენეჯერების მიერ არის შედგენილი.

არსებობს სხვადასხვა ტიპის საინდექსო ფონდი და თითოეულს განსხვავებული საინვესტიციო ფოკუსი აქვს. მაგალითად, საინდექსო ფონდები შეიძლება მიყვებოდეს პოპულარული სააქციო ბაზრის საორიენტაციო მაჩვენებლებს, კონკრეტულ აქციებს, საბაზრო სექტორებს, ანდა უფრო მსხვილი ინდექსების ქვეჯგუფებს. სხვა საინდექსო ფონდები

აქტიურად მართვადი პორტფოლიო ინვესტიციებია, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდების ნაკრებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება.

საინდექსო ფონდები ისეთივე რისკების წინაშე დგას, როგორც სხვა დივერსიფიცირებული ინვესტიციები. საინდექსო ფონდებში ინვესტირება სხვადასხვა რისკს მოიცავს, მათ შორის, და არა მარტო, საბაზრო რისკებს და ძირითადი თანხის შესაძლო დანაკარგს, ლიკვიდურობის რისკებს, ტრანზაქციის ხარჯებთან დაკავშირებულ სავაჭრო რისკებს, და რისკებს, რომ საინდექსო ფონდი დაიხურება და მისი ლიკვიდირება მოხდება. მართალია, საინდექსო ფონდების მიზანია, უზრუნველყოს საინვესტიციო შედეგები, რაც, ჩვეულებრივ, შესაბამისი საორიენტაციო მაჩვენებლების ან ინდექსების შესაბამისად მიიღწევა, მაგრამ მათ შეიძლება ზუსტად ვერ გაიმეორონ ეს შედეგი ხარჯების და სხვა ფაქტორების გამო. საინდექსო ფონდებს მოეთხოვებათ, წლის ბოლოს აქციონერებს გაუნაწილონ პროტფელის მოგება, რომელიც შეიძლება გენერირებული იქნეს მოხდეს პორტფელის რებალანსირებით ანდა საჭიროებით, დაკმაყოფილდეს დივერსიფიკაციის მოთხოვნები. საინდექსო ფონდის ვაჭრობას შესაძლოა ასევე საგადასახადო შედეგები ჰქონდეს.

გარკვეული ტიპის საინდექსო ფონდები შეიძლება არ იყოს შესაფერისი ყველა ინვესტორისთვის. საინდექსო ფონდის პროსპექტში აღწერილია მისთვის სპეციფიკური კონკრეტულ საინვესტიციო ამოცანები, რისკები, საფასური, ხარჯები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამა თუ იმ საინდექსო ფონდში ინვესტირებამდე ინვესტორებმა უნდა წაიკითხონ და ყურადღებით განიხილონ მთელი ის ინფორმაცია, რაც საინდექსო ფონდის პროსპექტშია მოცემული.

DriveWealth-ის Steady Saver საინდექსო ფონდის პროსპექტი შეგიძლიათ ნახოთ აქ. DriveWealth-ის Power Saver საინდექსო ფონდის პროსპექტი შეგიძლიათ ნახოთ აქ.

6. დავალებების ნაკადის საფასური

SEC-ის 607-ე წესის თანახმად, DriveWealth-ი ვალდებულია, გაამჟღავნოს გადახდა დავალებების ნაკადის მართვისთვის. გადაწყვეტილებას, საით გადაამისამართოს დავალება, DriveWealth-ი რამდენიმე ფაქტორზე დაყრდნობით იღებს, მათ შორის დავალების მოცულობის, ფასის გაუმჯობესების შესაძლებლობის და დავალების შესრულების ხარისხის საფუძველზე, ხოლო მისი გადაწყვეტილებების განხილვა რეგულარულად ხდება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოვალეობის საუკეთესოდ შესრულება. სამუშაო საათების დროს მომხმარებლების დავალებების საფონდო ბირჟებისკენ გადამისამართების, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების, ანდა ბროკერ-დილერების სანაცვლოდ DriveWealth-ს აქვს უფლება მიიღოს ფულადი კომპენსაცია. ასეთი კომპენსაციის მოცულობა განსხვავდება თითოეულ ბაზართან მიღწეული ხელშეკრულების მიხედით და გადახდილი იქნება მოთხოვნის საფუძველზე.

7. SEC-ის 606-ე წესის საჯაროობა

- კლიენტის დავალებების გადამისამართების პოლიტიკა. შპს DriveWealth-ი თავის დავალებების ნაკადს უპირველესად მიმართავს თავის ერთ-ერთ აღმასრულებელ ბროკერთან, DriveWealth Institutional LLC, NYSE-ს საოპერაციო დარბაზის ბროკერთან, რომელიც აფასებს ბაზრების ხარისხს, რომელთაკენაც ის გადაამისამართებს დავალებების ნაკადს, რომ შეასრულოს DriveWealth-ის და მისი მომხმარებლებისთვის ყველაზე მომგებიანი გარიგება. ამ თვალსაზრისით, DriveWealth-ს შეუძლია რამდენიმე ფაქტორზე დაყრდნობით, მათ შორის ფასიანი ქაღალდის ან დავალებების მოცულობაზე დაყრდნობით, თავად შეასრულოს დავალება, როგორც მფლობელმა, ანდა მიმართოს კლიენტების დავალებები სხვა ბროკერ-დილერებისკენ, როგორიცაა DriveWealth Institutional LLC.

  იმ დავალებებისთვის, რომელსაც მფლბელის სტატუსით ასრულებს, DriveWealth-ი არ იღებს დავალებების ნაკადის საფასურს. იმ დავალებების შემთხვევაში, რომლებიც მიმართულია ჩვენი შემსრულებელი ბროკერისკენ, DriveWealth-ი შემსრულებელ ბროკერთან იყოფს ფულად კომპენსაციას.

  დავალებები რეგისტრირებულ ან ბირჟის მიღმა ბრუნვად აქციებში, რომლებიც ეგზავნება ბირჟის მიღმა ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების მარკეტ მეიკერებს, შეიძლება გამჟღავნებული იქნეს ზოგიერთი საფონდო ბირჟის და საბაზრო ცენტრისთვის ფასის გაუმჯობესების მიზნით. დავალებებს, რომლებიც საფონდო ბირჟას ავტომატური გადამისამართების და შესრულების სისტემის გზით ეგზავნება, აქვს შესაძლებლობა, შესრულდეს უკეთეს ფასად, ვიდრე საუკეთესო ეროვნული ფასი ან შეთავაზებაა, კომპიუტერული ფასწარმოქმნის ალგორითმის (იმ აქციებზე დავალებების შემთხვევაში, რომლის სპრედი მეტია 0.01 აშშ დოლარზე) ანდა ასეთი სისტემების დავალების საჯაროობის მახასიათებლების შესაბამისად.

  * დონატო კუტონე, Cuttone & Co.-ს აღმასრულებელი დირექტორი, არის DriveWealth-ის დირექტორთა საბჭოს ხმის უფლების მქონე წევრი.

- **დავალების გადამისამართების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.** SEC-ის 606-ე წესი აძლევს ყველა კლიენტს შესაძლებლობას, თავიანთი ტრანზაქციებისთვის მიიღოს ინფორმაცია კონკრეტული დავალების გადამისამართების შესახებ. მოთხოვნის საფუძველზე DriveWealth-ი მიაწვდის კლიენტს იმ დაწესებულების სახელს, რომელშიც ასეთ მოთხოვნამდე წინა 6 თვის განმავლობაში მოხდა კლიენტის თითოეული დავალების გადამისამართება. თუ გსურთ ამ ინფორმაციის მიღება, გთხოვთ დაუკავშირდეთ support@drivewealth.com ანდა თქვენს წარმომადგენელს DriveWealth-ში. SEC-ის 606-ე წესი ასევე ავალდებულებს ბროკერ-დილერებს, DriveWealth-ის ჩათვლით, ყოველკვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია NYSE-ის, AMEX-ის და Nasdaq-ის ფასიან ქაღალდებზე

დავალებების გადამისამართების პრაქტიკის თაობაზე. ბროკერ-დილერები ვალდებულნი არიან, გაამჟღავნონ დავალებების გადამისამართების ყველაზე ხშირი დანიშნულების პუნქტები და ამ პუნქტებთან მათი ურთიერთობების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ასპექტი, მათ შორის დავალების ნაკადის საფასურის გადახდის ნებისმიერი სქემა. DriveWealth-ის 606 ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://drivewealth.com/sec-rule-606/.